საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კერესელიძე გიორგი მათეს ძე

გ. კერესელიძე

კერესელიძე გიორგი მათეს ძე [17. III. 1885, გორი, – 1960, საფრანგეთი (დაკრძალულია ვეზინეს სასაფლაოზე)], პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათ. მოძრაობისა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენელი, ლ. კერესელიძის ძმა. 1905 რევოლუციის შემდეგ დაწყებულ რეაქციას **ჯ.** გაერიდა და 1906 ცოლ-შვილთან ერთად წავიდა შვეიცარიაში, სადაც ჟენევის უნ-ტის სტუდენტი გახდა. მალე რუსეთმა *პოლიტ.* საქმიანობის გამო ძმები კერესელიძეების გადაცემა მოითხოვა. შვეიცარიის სასამართლოზე ბელგიელმა ავტორიტეტულმა საერთაშ. სამართალმცოდნე ერნესტ ნისმა მათ დასაცავად წარმოთქვა სიტყვა: რ-შიც აღნიშნა, რომ რუსეთმა დაარღვია 1783 ხელშეკრულება, ამიტომ ქართველთა ყველა ქმედება *პოლიტ.* ბრძოლაა და დაუშვებელია ძმების რუსეთისათვის გადაცემა. სასამართლომ ბრალდებულები გაამართლა.

1910 **ჯ.** პ. სურგულაძის თაოსნობით დაფუძნებული „ქართველ სეპარატისტთა ჟენევის ჯგუ-ფის" წევრი გახდა. მათ დააარსეს ჟურნ. „თავისუფალი საქართველო" (1913–14), რ-ის ერთ-ერთი რედაქტორი იყო **ჯ.** ჯგუფის წევრები გერმანიას თვლიდნენ ყველაზე რეალურ ძალად, რ-საც შეეძლო საქართველოს დახმარება. ამიტომ I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე დაუკავშირდნენ გერმანიის მმართველ წრეებს, ჟენევიდან ბერლინში გადავიდნენ და „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი" შექმნეს (პ. სურგულაძე, ძმები ლ. და გ. კერესელიძეები, ნ. მაღალაშვილი, ვ. ჩერქეზიშვილი, მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი და სხვ.). **ჯ.** რედაქტორობდა კომიტეტის მიერ დაარსებულ „ქარ-

თულ გაზეთს" 1916–18, 1918–21 იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს, 1919-იდან – დამფუძნებელი კრების წევრი. საბჭ. რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ (1921), **ჯ.** ემიგრაციაში წავიდა. იყო გაზეთ „თეთრი გიორგის" რედაქციის წევრი და ერთ-ერთი ავტორი. II მსოფლიო ომის წლებში (1939– 45) თანამშრომლობდა ბერლინში ხელისუფლების მიერ შექმნილ „კავკასიის სამმართველოსთან" (ხელმძღვ. ვ. ახმეტელი). *პოლიტ.* საკითხების გარდა, იღვწოდა ქართველ ტყვეთა გათავისუფლებისათვის.

რ. დაუშვილი